# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

# ეროვნული კომისიის

# დადგენილება №23

2012 წლის 27 დეკემბერი

ქ. ქუთაისი

## "ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 დეკემბრის №2044 და №2047 განკარგულებებით მოწონებულ იქნა, შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და სს"ენერგო-პრო ჯორჯიას" შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი და საქართველოს მთავრობას, სს"საპარტნიორო ფონდს", ღია სააქციო საზოგადოება "ინტერ რაო ეეს"-ს, სს"თელასს", შპს"მტკვარი ენერგეტიკას", სს"ხრამჰესი-1"-სა და სს"ხრამჰესი-2"-ს შორის დასადები მემორანდუმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის № 33 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, № 175, მუხ. 1791) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე- 8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. სს „თელასის" განაწილების ზღვრული ტარიფები**

სს „თელასის" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

| ძაბვის საფეხური | 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით |
|---|---|
| 220-380ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 8,08 თეთრი/კვტსთ; |
| 220/380ვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი საშუალოდ) | 6,891 თეთრი/კვტსთ; |
| 6-10 კილოვოლტი | 7,138 თეთრი/კვტსთ; |
| 35-110 კილოვოლტი | 1,8 თეთრი/კვტსთ. |

"

2. 9[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"მუხლი 9[1].** სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით ძაბვების მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | _ | 8,08 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 220-380 ვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი საშუალოდ) | _ | 5,19 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 6-10 კილოვოლტი | _ | 4,488 თეთრი/კვტსთ; |
| ვ) | 35-110 კილოვოლტი | _ | 2,794 თეთრი/კვტსთ." |

"

3. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 10. სს „თელასის" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები**

1. სს „თელასის" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

| ძაბვის საფეხური | 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით |
|---|---|
| 220-380ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) | 13,56 თეთრი/კვტსთ; |
| 6-10 კილოვოლტი | 12,618 თეთრი/კვტსთ; |
| 35-110 კილოვოლტი | 7,28 თეთრი/კვტსთ |

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის(მოსახლეობისათვის), რომლებიც წარმოადგენენ სს„თელასის" აბონენტებს 220/380 ვოლტ ძაბვაზე, მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

| მოხმარების საფეხური | 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით |
|---|---|
| 101 კვტსთ-ის ჩათვლით | 8,424 თეთრი/კვტსთ; |
| 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით | 10,56 თეთრი/კვტსთ; |
| 301 კვტსთ-დან და მეტი | 14,998 თეთრი/კვტსთ; |

| | |
|---|---|
| | |

"

4. $11^1$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $11^1$ .** სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) – 13,56 თეთრი/კვტსთ;

ბ) 6-10 კილოვოლტი - 9,968 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 8,274 თეთრი/კვტსთ;

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში (სს„ენერგო-პრო ჯორჯიას" აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის(მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 8 ,00 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 11,00 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 14,83 თეთრი/კვტსთ."

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| კომისიის წევრი, თავმჯდომარე | გურამ ჩალაგაშვილი |
| კომისიის წევრი | მაია ნადირაძე |
| კომისიის წევრი | სერგო მესხი |
| კომისიის წევრი | ზურაბ გაზელაია |
| კომისიის წევრი | გოჩა შონია |